პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივლისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ხუთშაბათი 8 ივლისი № 158 (16588) ფასი 2 კაპ. 1976

სიტყვებს, რომლებიც გვრაზმავენ

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა მხარეს დიდი დადებითი ზეგავლენა მოახდინა და კვლავაც ექნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის [illegible] საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სწორი დასკვნები გააკეთა [illegible] აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებებიდან და შეცდომებიდან. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თბილისის საქალაქო კომიტეტმა, სხვა პარტიულმა კომიტეტებმა თვითკრიტიკულად გააანალიზეს საქმეთა ვითარება რესპუბლიკაში, შეიმუშავეს და ახორციელებენ იმ ღონისძიებათა ფართო სისტემას, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება, მათი პოლიტიკური შეგნებულობისა და შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი ზრდა. წარმოებს მიზანდასახული მუშაობა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის. მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიულ ორგანიზაციათა ავტორიტეტი, გაძლიერდა მათი წარმმართველი და მაორგანიზებელი გავლენა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დარგში.

საკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

დროზე აპილოთ და დავაგინავოთ პურეული!

გვახსოვდეს: მოსავალს დაცდა არ უყვარს. აღრე აიღეგ — მოიგეგ, დააგვიანეგ — წააგეგ! ვიმუშაოთ დევიზით: პირველი განალეწი მარცვლეული — სახელმწიფო გეღელში!



კომბაინერთა შეჯიბრება

ყითელწყარო

ბარიელ ბუნუკაშვილმა ზემო ქედის ა. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 5 სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი აიღო 52 ჰექტარზე ნაცვლად 40 ჰექტარისა, ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერი მარცვალი გალეწა 20 ცენტნერის ნაცვლად.

მიხეილ დიდებაშვილმა ქვემო ქედის კოლმეურნეობაში ერთ დღეს პურეული მომკა 12 ჰექტარზე 8 ჰექტარის ნაცვლად, ჰექტარზე საშუალოდ 29 ცენტნერი მარცვალი გალეწა 20 ცენტნერის ნაცვლად.

მიხეილ ფიროსმანიშვილმა ხოფელ გამარჯვების კოლმეურნეობაში მოსავალი აიღო 13 ჰექტარზე 8 ჰექტარის ნაცვლად თვითეულ ჰექტარზე 26 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ხიდნალი

ივანე მეჯურგლიშვილმა ხოფელ ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ დღეს პურეული მომკა 10 ჰექტარზე 8 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 27 ცენტნერი მარცვალი გალეწა 20 ცენტნერის ნაცვლად.

დავით გეგეჭკორიშვილმა ხოფელ ბელი ანაგის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში პურეულის მოსავალი აიღო 11 ჰექტარზე და ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ყვარელი

ბესიკ რაქვიაშვილმა ახალსოფლის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში ერთ დღეს პურეული მომკა 10 ჰექტარზე 8 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 22 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

მარცვლეულის პირველი ტონები

მკა მარნეულის რაიონში

ფლეგანდელ ჭირეულ ამინდს მარნეულელმა მხვნელ-მთესველებმა ბეჯითი შრომა დაუპირისპირეს. რაიონში შეიმუშავეს პურეულის მკისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების კომპლექსური გეგმა-გრაფიკი. შეიქმნა სპეციალური ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბი. ყოველ სამუშაო დღის ბოლოს აჯამებენ, თუ რა გაკეთდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

რაიონში წლეულს თავთავიანი მარცვლეული კულტურები ასაღებია 6.200 ჰექტარზე, აქედან ქერი — 1.200 ჰექტარზე. ვერა და ვერ აქნა, რომ ზაფხულის ზზეს ყანები დაეცხუნებინა. ამასთან ყველაზე მეტად ქერი ჩაწვა. მარნეულელმა მექანიზატორებმა წინაამდეგობის დასაძლევად საშუალება გამონახეს — მოწონავე მექანიზატორთა მაგალითისამებრ კომბაინები ამ მხარეს მიუყვანეს, საიდანაც გადაწყლილი თავთავები იყო, ამასთან ზედერი რაც შეიძლება დაბლა დაუშვეს, რომ პურეული ძირში მოეჭაკთ. ასეთი მუშაობით ქერის მოსავალი 1.200 ჰექტარზე სწრაფად, უდანაკარგოდ აიღეს და ჰექტარზე საშუალოდ 24,5 ცენტნერი მარცვლეული მიიღეს.

ახლა ხორბალს მკიან. ყოველდღე 80 კომბაინი მუშაობს. ალგეთის საბჭოთა მეურნეობამ 100 ჰექტარზე ქერის მკა დაამთავრა და ჰექტარზე საშუალოდ 27 ცენტნერი მოსავალი მიიღო. კომბაინერები ა. აბდულოვი, ვ. კალანდარიანი, ო. ფურმანოვი, შ. ხალილოვი, ხ. მუსაევი ერთმანეთს ეჯიბრებიან. თვითეული მათგანი ყოველდღე ხორბალს 10-12 ჰექტარზე მკის და ჰექტარზე 24 ცენტნერ მარცვალს ღეწავს.

რაიონში პირველმა ალგეთის საბჭოთა მეურნეობამ პურპროდუქტების ბაზას მაღალხარისხოვანი მარცვლის პირველი ტონები ჩააბარა.

მუღალოს სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობაში წლეულს თავთავიანი მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალია. აქ ქერის მოსავლის აღება დაამთავრეს და ჰექტარზე საშუალოდ 38 ცენტნერი მიიღეს ნაცვლად 25 ცენტნერისა.

პურეულს სწრაფად, უდანაკარგოდ აღებენ მარნეულის (დირექტორი ო. მანგაძე), ლომთაგორის (დირექტორი მ. ფილაშვილი), არაფლოს (დირექტორი ა. რაგიმოვი) და სხვა საბჭოთა მეურნეობებში, მარნეულის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში (დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი დ. შამათავა).

მკის შემდეგ ნაცვლეული თავთავების ასაკრეფად სპეციალურად ყველა მეურნეობაში იყენებენ მოსწავლეებს და მუშებს, აკრეფილი თავთავიდან მეურნეობებში უკვე გალეწილია 200 ცენტნერზე მეტი მარცვალი.

პურეულის მკისა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის შეუფერხებლად მუშაობაში წლეულს მეურნეობებს კარგად ეხმარება საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საგზაო სამშენებლო სარემონტო სამმართველო (უფროსი ჯ. მარშანია), რომელმაც პუბროდუქტების ბაზაში 3 კილომეტრ მანძილზე გააკეთა მისასვლელი გზა. ალგეთისა და აზიზ-ქენდის 26 კომისრის სახელობის საბჭოთა მეურნეობებს ხიდის უქონლობის გამო 30 კილომეტრ მანძილზე უხდებოდათ პუბროდუქტების ბაზაში მარცვლის ჩაბარება. ახლა ეს ნაკლი გამოსწორდა. საგზაო სამშენებლო სარემონტო სამმართველომ გაკეთა ხიდი და ამით 22 კილომეტრით შემოკლდა გზა.

ეხვეთით ნაკლოვანებებსაც. კასუმლოს საბჭოთა მეურნეობაში პურეულის მოსავალი შერჩევით ასაღებია. მაგრამ, ამისათვის თავი არ შეიწუხეს, უანის მასობრივად დამწიფებას ელოდებიან. ეს ეხებოდა ელმძღვანელობას. 5 ივლისს სპეციალურად იმსჯელეს რაიკომის ბიუროზე. მეურნეობის დირექტორს გ. გასიევს სასტიკი საყვედური გამოეცხადა. მსგავსი ფაქტებია ხრამისა და შაუმიანის საბჭოთა მეურნეობებში.

ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ პურეულის მოსავალი ავიღოთ სწრაფად, უდანაკარგოდ.

შ. ჯოჯუა,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

ს ურათებზე: ზემოთ — პურეულის მოსავლის აღება მარნეულის რაიონის ალგეთის საბჭოთა მეურნეობაში; ქვემოთ — ალგეთის საბჭოთა მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი შ. კეტკაშვილი (მარცხნივ) და მთავარი აგრონომი ა. დავითაშვილი ხორბლის ხვავთან.

ბ. ბოგოლიუბ ფოტო.

საბჭოთა დელეგაცია ბერლინში

ბერლინი, 6 ივლისი. (საკდესი). აქ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 30-ე სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

დელეგაციას შემეფელდნ აეროდრომზე დახვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ზინდერმანი და სხვა ოფიციალური პირნი. დამხვდურთა შორის იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩი პ. ა. აბრასიმოვი.

მეგობრულ ვითარებაში

7 ივლისს კრემლში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებას აწარმოებენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი;

ეთიოპიის მხრივ სოციალისტური ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარე მოგეს ვოლდე მიქაელი, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს კომიტეტის თავმჯდომარე ალემაიეხუ ჰაილე, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს წევრი ფიქრესელასიე ვედერესი, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს წევრი თამრად ფერედე.

მოლაპარაკების დრო, რომელიც მეგობრობის ატმოსფეროში და ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა, განიხილეს ბევრი საკითხი, რომლებიც შეეხებოდა საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მეგობრული ურთიერთობის მდგომარეობას (საკდესი).

მოლაპარაკება განაგრძეს

6 ივლისს მოლაპარაკება განაგრძეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და არაბეთის სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა, სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჰ. ჰადამმ.

მხარეები კვლავ ბჭობდნენ საკითხებზე, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას ეხება.

ამავე დღეს ა. ა. გრომიკომ სადილი გაუმართა ა. ჰ. ჰადამს. (საკდესი).



კოსმონავტები შეუდგნენ პროგრამის შესრულებას

„სოიუზ-21“ ფრენას განაგრძობს

ფრენის მართვის ცენტრი, 6 ივლისი. (საკდესი). 6 ივლისს მოსკოვის დროით 21 საათისათვის კოსმოსური ხომალდს „სოიუზ-21“ ოთხჯერ ჰქონდა შემოვლილი დედამიწა.

რადიოკავშირის მორიგი სეანსის დროს ხომალდის მეთაურმა ბ. ვ. ვოლინოვმა გვაცნობა, რომ კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ და ასრულებენ ფრენის დასახულ პროგრამას. ხომალდის ყველა საბორტო სისტემა ნორმალურად მუშაობს.

ტრაექტორიული გაზომვის მონაცემებისამებრ, ხომალდი „სოიუზ-21“-ის ორბიტის პარამეტრებია:

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 253 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 193 კილომეტრი;

გარშემოვლის პერიოდი — 88,7 წუთი;

ორბიტის დახრილობა — 51,6 გრადუსი.

6 ივლისის 24 საათიდან 7 ივლისის 8 საათამდე კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-21“ საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონის ფარგლებს მიღმა იფრენს. ამ პერიოდში კოსმონავტები ბორის ვოლინოვი და ვიტალი ჟოლობოვი დაისვენებენ.

ფრენის მართვის ცენტრი, 7 ივლისი. (საკდესი). 7 ივლისს მოსკოვის დროით 12 საათისათვის კოსმოსურმა ხომალდმა „სოიუზ-21“ 14-ჯერ შემოუფრინა დედამიწას.

გუშინ საღამოს განხორციელებული მოძრაობის ტრაექტორიის კორექციის შემდეგ, ხომალდ „სოიუზ-21“-ის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 280 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 245 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 89,6 წუთი;

ორბიტადახრილობა — 51,6 გრადუსი.

ხომალდზე სამუშაო დღე დილის ცხრა საათზე დაიწყო. რადიოკავშირის მორიგი სეანსის დროს ხომალდის მეთაურმა ბ. ვ. ვოლინოვმა გადმოსცა, ეკიპაჟი დასახული პროგრამით მუშაობსო.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და კოსმონავტთა მოხსენებების თანახმად, ხომალდის საბორტო სისტემა ნორმალურად მუშაობს. ამხანაგები ვოლინოვი და ჟოლობოვი თავს კარგად გრძნობენ.

კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-21“ ფრენას განაგრძობს.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

მოსკოვში 6-7 ივლისს გაიმართა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პოლიტორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია.

მოხსენება „სკკპ XXV ყრილობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის შემდგომი ამაღლების შესახებ და არმიასა და ფლოტში პარტიული მშენებლობის საკითხები“ გააკეთა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა არმიის გენერალმა ა. ა. ეპიშევმა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა არმიის გენერალმა დ. ფ. უსტინოვმა. იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით გულითადად მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს და დიდი წარმატებები უსურვა შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას წვრთნისა და აღზრდის დიდმნიშვნელოვან და კეთილშობილურ საქმეში. ლეონიდ ილიას-ძე, თქვა თავდაცვის მინისტრმა, დიდად აფასებს არმიისა და ფლოტის პოლიტმუშაკების — შეიარაღებულ ძალებში პარტიის მებრძოლი რაზმის, მისი პოლიტიკის დაუცხრომელი გამტარებლების, საბჭოთა მეომრების დამრიგებლებისა და აღმზრდელების შრომას.

(საკდესი).

ახალი ამბები

□ **ხარკოვი.** კიროვის სახელობის ქარხანაში ვადაზე ერთი კვარტალით ადრე დამთავრდა იაუტიის ვილიუისკის ჰიდროელექტრო. სადგურისათვის უკანასკნელი ტურბინის დამზადება. მანქანის კვანძებს ავტონომიურ რესპუბლიკაში მიეტანენ სამდინარო გზით მოკლე პოლარული ნავიგაციის დროს.

□ **აშხაბადი.** ხიმინდის განმეორებით თესვას შეუდგნენ თურქმენეთის მექანიზატორები. იყენებენ საშემოდგომო პურეულისაგან განთავისუფლებულ სარწყავ მიწებს. რესპუბლიკის მიწათმოქმედებმა იკისრეს ვალდებულება საზამთროდ მოიმზადონ სულ ცოტა 850 ათასი ტონა სიმინდის სილოსი.

□ **ამურსკი.** (ხაბაროვსკის მხარე). რკინაბეტონის ნაწარმის ქარხანა კონსტრუქციის ფართო გამას გამოუშვებს სამელიორაციო სისტემების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. ქარხანას აგებენ ქალაქის განაპირას.

ფართო პროპაგანდა გავუწიოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს შრომელებში დიდი აღფრთოვანებით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“.

ამ დადგენილებაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს განსაკუთრებით დიდი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო ორგანოებმა წარმატებით განაგრძონ მუშაობა სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და მეათე ხუთწლედისათვის დასახული დავალებების შესასრულებლად. ამ მიღწევებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ჩვენი რესპუბლიკის პროფესიულმა კავშირებმა გააძლიერეს მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და ქმედითობის ამაღლებისათვის, გაუმჯობესეს მუშაობა კადრებთან და აქტივთან. შესამჩნევად გაეტაურდა პირველადი ორგანიზაციებისა და სხვა ძირეული პროფკავშირული რგოლების საქმიანობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი ორგანიზატორული და იდეურ-ლენინური როლი შრომელ კოლექტივებში, კიდევ უფრო გაფართოვდა მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები უფრო მეტსა და უკეთ ზრუნავენ მუშა-მოსამსახურეთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა ორგანიზაციებს უფრადღებას მიაპყრობს ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის მითითებათა შესაბამისად განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ძიენს ჩვენი რესპუბლიკისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ საქართველოს პროფკავშირებმა მიიღეს განუხრელი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის, მიიჩნიეს რესპუბლიკის პროფკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობის საბრძოლო პროგრამად იმისათვის, რომ მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, პროფკავშირის თვითეული წევრის მეელი ძალ-ღონე და შემოქმედებითი ენერგია დარაზმის ამ ისტორიულ დოკუმენტში დასახული ყველა ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის. პროფკავშირთა ყველა საბჭოს, კომიტეტსა და პირველადს ორგანიზაციის წინადადება მიეცათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძვლიანი შესწავლილს, მშრომელთა შორის ამ დადგენილების ფართო პროპაგანდისა და განმარტების ორგანიზაციაში, ამ საქმეში ჩაბმან ყველაზე მომზადებული პროფკავშირული მუშაკები და აქტივისტები.

გადაწყვეტილია შემეუშაონ და განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროპაგანდისა და ახსნა-განმარტების გეგმა, დაეხმარონ მშრომელებს, რათა განსაზღვრონ მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში თავიანთი მონაწილეობის ფორმა, პროფკავშირული საბჭოები და ადგილობრივი კომიტეტები მოვალენი არიან საზოგადოება „ცოდნისათან“ ერთად უზრუნველყონ მშრომელ კოლექტივებში ლექციების ციკლების, თეორიული კონფერენციების, მოხსენებების, საუბრების, კონსულტაციების მოწყობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პროპაგანდისა და შესწავლის საკითხებზე. წინადადება მიეცათ საწარმო-დაწესებულებებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, კლუბებში, წითელ კუთხეებში, ბიბლიოთეკებში, ავრეთვე საერთო საცხოვრებლებში მოაწყონ სტენდები და გამოფენები, რომლებიც ასახავს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებას, სამრეწველო საწარმო-ორგანიზაციების, წარმოების მოწინავეებისა და ნოვატორების მიღწევებს.

კომუნისტური შრომის სკოლებში, კულტურის სახლხო უნივერსიტეტებში მოეწყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესწავლა და ახსნა-განმარტება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესწავლა შეტანილია საქართველოს პროფსაბჭოს პროფკურსების პროგრამაში.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საოლქო, საქალაქო, რაიონულ პროფსაბჭოებს, დარგობრივ პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს დაავალა პრეზიდიუმებისა და კომიტეტების გაფართოებულ სხდომებზე განიხილონ და დაამტკიცონ კონკრეტული ღონისძიებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესწავლისა და ახსნა-განმარტებისათვის. ამ ღონისძიებათა ძირითადი შინაარსი უნდა იყოს მასებში ორგანიზატორული და იდეურ-ლენინური მუშაობის შემდგომი გაძლიერება, სოციალისტური შეჯიბრების ფართო დაჭიდითი გაჩაღება, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცება, შრომისა და საყოფაცხოვრები პირობების გაუმჯობესება, მათი მეცადინეობის მეათე ხუთწლედის დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის წარმართვა. (საქინფორმი).

7 ივლისი

„პრავდის“ ფურცლებზე

ნათაურით „მიფრინავენ „სოიუზ-21“ გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილია საკედისის ცნობა საბჭოთა კავშირში პილოტირებული კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-21“ გაშვების შესახებ, რომლის ეკიპაჟში არიან ხომალდის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, პოლკოვნიკი ბორის ვოლენტინის-ძე ვოლინოვი და ბორტინჟინერი, პოდპოლკოვნიკი, ინჟინერი ვიტალი მიხეილის-ძე ჟოლობოვი.

მეთაურ წერილში „ვამრავლოთ მიწის ბარაქა“ ლაპარაკია იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის მინერალური სასუქების რაციონალურად და უდანაკარგოდ გამოყენებას, ქიმიზაციის მატერიალური ბაზის განმტკიცებას.

„ხასუქებს მნიშვნელოვან უკუგებას იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აღწევენ, სადაც მათ იყენებენ ორგანულ სასუქებთან შეხამებით, აკრიანებენ მეავე ნიადაგებს. — წერს გაზეთი. — შარშან ორგანული სასუქების გამოყენება ჩვენში 721 მილიონ ტონამდე გაიზარდა. წელს კვლავ გაადიდა მაი ზეტანა ნიადაგში ბელორუსიის, უკაზეთის, საქართველოს ბევრმა მეურნეობამ, ხოლო მოლდავეთში, ლატვიაში, ვლადიმირისა და კიროვის ოლქებში შემცირდა ორგანული სასუქებით ნიადაგების განაყოიერება...

„ითხი თვით აღრე ნიდეი შუაპირი რეკონსტრუქციის შემდეგ ბათუმის (საქართველოს სსრ) გემთმშენებელი ქარხნის საამქრო. ამით დამთავრდა საწარმოს განახლება, რომლის საპროექტო სიმძლავრე ახლა სამჯერ გაიზარდა. რეკონსტრუქცია განხორციელდა მინიმალური დანახარჯებით. უბნები შეიესო ახალი დაზგებითა და წნეხ-ჭიმტმბტებით, რის შედეგადაც შრომის ნაყოფიერება თითქმის ორჯერ გაიზარდა. ფართო მასშტაბით განხორციელდა საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია“, წერს „პრავდა“ პირველ გვერდზე „შეჯიბრების დღიური“.

გუშინ ბერლინში მუშაობა დაიწყო ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 30-ე სესიამ. ამ მოვლენისადმი მიძღვნილი გაზეთის თემატური გვერდი „მტკიცდება სოციალიზმის პოზიციები“, სადაც შეჯამებულია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში მიღწეული ეკონომიური შედეგები 1971-1975 წლებში.

მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა მასალებს, რომლებიც გამოქვეყნებულია რუბრიკით: — „საერთაშორისო ინფორმაცია“, „ახალი ამბები“, „ბუნება და ადამიანი“, „რეპლიკა“ და სხვა. აქვეა დაბეჭდილი ინფორმაცია „არქიოლოგთა ნაპოვნი“, რომელიც მკითხველებს მოუთხრობს არქეოლოგიურ გათხრებზე ფოთელწყაროს რაიონში.

ПРАВДА

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ. Ი. Ჯ. ᲣᲑᲘᲚᲐᲕᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲮᲝᲠᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲓᲘᲡ ᲛᲠᲔᲕᲬᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. იუზა ჯახოს-ძე უბილავა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. ᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ᲚᲐᲨᲕᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისი. 1976 წლის 7 ივლისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა საქმე ჩვენზეა!

მაღალნაყოფიერად გამოვიყენოთ ტექნიკა

სოფლის მშრომელთა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ მარცვლეულის, ყურძნის, ჩაის ფოთლის, ციტრუსეულის, ბოსტნეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების მოსავლიანობისა და მთლიანი მოსავლის მნიშვნელოვნად გადიდება, მეცხოველეობის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი ზრდა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და დაჩქარებაში საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წონის ამაღლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

შეჯიბრების დღიური **ᲘᲕᲚᲘᲡᲘ**

ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲗ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲘᲡᲐ და მექანიზატორის სიკეთე ისე კარგად არსად არ ოგრძნობა, როგორც მემინდვრეობაში. და ჩვენი რაიონი ხომ ძირითადად მემინდვრეობით არის სახელგანთქმული! შორაქის, ტარიბანისა და ალაზნის ველებზე ყველაფერი მანქანებით კეთდება. შემოდგომაზე თავთავიანი კულტურები 23.500 ჰექტარზე მანქანებით დაითესა. გარდა ამისა სასუქების შეტანა, მავნებლებთან და მცენარის დაავადებებთან ბრძოლა მანქანებით ხდება. მოსავლის აღება, მარცვლის გაწმენდა და გადატანაც მთლიანად მექანიზებულია. ერთი სიტყვით, პურის გამოცხობის ჩათვლით ყოველგვარი სამუშაო მანქანებით სრულდება.

წითელწყაროს რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს 593 ტრაქტორი, 164 კომბაინი, უამრავი გუთანი, სათესი კულტივატორი და სასუქების შესატანი მანქანა აქვთ. პირუტყვის საკვების დამზადებაზე 100 სათიბი, 70 ბალახის ასაღები კომბაინი და 310 ტრაქტორი მუშაობს.

რაიონის კოლმეურნეობებში მინდვრის ყოველგვარი სამუშაო 100 პროცენტით მექანიზებულია, მეცხოველეობის ფერმებში საკვების შემზადება 80 პროცენტით მექანიზებულია, წველა — 98 პროცენტით, ნაკელის გატანა — 80 პროცენტით. ყველა კოლმეურნეობას აქვს კომბინირებული საკვების სამქრო.

მექანიზაციას ჩვენთან ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ამიტომ დიდი ხანია მექანიზატორთა სოციალისტურ შეჯიბრებას ნამდვილი მასობრივი ხასიათი აქვს.

ვინ არ იცნობდა შორაქელ სახელგანთქმულ მექანიზატორს გიორგი დოლიძეს. ახლა მისი მიმდევრის, ზემოქედელი გმირის ნიკოლოზ მელიქიშვილის სანაქებო საქმეებს ალარ აკითხავთ! მექანიზატორთა ბრიგადირი თვით როსტოველ გმირს ნიკოლოზ ბოჩკარიოვს ეჯიბრება და სანაქებოდაც მუშაობს. მისი მიმდევარია ახალგაზრდა თანასოფელი მიხეილ ლალიაშვილი.

პურეულის მკა წარმატებით მიმდინარეობს. დავიწყეთ გარდამავალი დროშების და ფასიანი სიუჟეტები. ჩვენმა მექანიზატორებმა გადაწყვიტეს თავთავიანების აღება 10-12 სამუშაო დღეში დაამთავრონ. უკვე აღებული გვაქვს 4.000 ჰექტარზე მეტი.

ვის არ გაუგონია საქეიფოდ სახელგანთქმული მწველავის, სოციალისტური შრომის გმირის, ესტონელი ლეიდა პეიპსის სახელი. იგი 100 ძროხას წველის. მას ესტუმრა ჯაფარიძელი მწველავი, აგრეთვე გმირი, ზაირა ალხანაშვილი და ახლა იგი და მისი თანასოფელი ნინო არაბული პეიპსის მაგალითად 100-100 ძროხას წველიან. ჯაფარიძელთა გამოცდილებით სხვა კოლმეურნეობებიც დაინტერესდნენ და იმედია, რომ ეს პროგრესული მეთოდი ყველგან დაინერგება.

როგორც აღვნიშნე, პურეულის მკა უკვე გაჩაღდა. მაგრამ მარცვლეულის აღებასა და დაბინძეგებაში ხელი გვიშლიან. „საქსოფლტექნიკა“ დროულად ვერ გვამარაგებს კომბაინის მამოძრავებელი ღვედებით, ცელებით, მჭრელი აპარატის თითებითა და დახრილი ტრანსპორტიორებით. იმედია რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოები ამ საქმეში დროულად დაგვეხმარებიან.

ჩვენი შრომელები თავს არ ზოგავენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებაში საპატიო წვლილი შეიტანონ.

Ი. ᲮᲣᲪᲣᲠᲐᲣᲚᲘ,
წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ზემო ქედის კოლმეურნეობის ცნობილი მექანიზატორი, პურეულის უხვი მოსავლის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ (მარჯვნივ) გამოცდილებას უზიარებს თანამოსაქმეს ᲜᲐᲡᲣᲚᲘᲫᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲚᲘᲫᲔᲡ.

ბ. არქანინკოს ფოტო.

ᲧᲣᲠᲐᲫᲦᲔᲑᲐ — ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝᲡ

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ ᲡᲘᲣᲖᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ საზოგადოებრივი მეურნეობების შემოსავლის დიდი წყარო კარგი ხანია მეთამბაქოობაა. თამბაქოს მოგლა-მოყვანასა და უხვი მოსავლის მიღებაში დახელოვდნენ კოლმეურნე მეთამბაქოეები. მაღალხარისხოვან ნედლეულში სახელმწიფო კარგ ანაზღაურებას გვაძლევს. ამიტომ არის, რომ უამინდობის დროსაც კი ყოველწლიურად მატულობს მოსავლიანობა, კოლმეურნეობების ეკონომიკაც დღითიდღე მტკიცდება. ასეა ჩვენთან, ასეა მთელ რესპუბლიკაში. ყოველივე ეს კარგად აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში.

წლეულს 2.667 ჰექტარზე გადაერგეთ თამბაქო. გეგმით სახელმწიფოს 5.030 ტონა, ხოლო ვალდებულებით 5.100 ტონა თამბაქო უნდა მივყიდოთ. წლევანდელმა ამინდებმა გადარგული ჩითილები ერთობ გაალაჯა და კარგ მოსავალს მოველით.

მეთამბაქოეები ერთმანეთთან სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული. კოლმეურნეობებში ეს საქმე მაღალ დონეზეა დაყენებული ყოველმა მეთამბაქოემ კარგად იცის ვის ეჯიბრება.

მეთამბაქოობაში არც თუ ისე დიდი ხნის წინათ სანახევროდ იყო დანერგული მექანიზაცია. დღეს ეს სულ სხვა მდგომარეობაა. სათამბაქოე მიწის დამუშავება მთლიანად მექანიზებულია, მანქანებით ვაწარმოებთ კულტივაციას, ჩითილების დიდი ნაწილი მანქანებით გადავრგეთ. ამ მანქანის საკეთე ისიც არის, რომ ჩითილის გახარება თითქმის ასპროცენტიანია. ეს იმიტომ, რომ მანქანა ჩითილს დარგვისთანავე ფესვებს წყალს უსხამს და მიწას შემოუყრის ხოლმე.

შარშან მივიღეთ და გამოვცადეთ თამბაქოს ასაკინძი მანქანა. მანქანის გამოცდამ კარგად ჩაიარა და ჩვენს მეთამბაქოეებს მოეწონათ. წლეულს 60 ასეთი მანქანა შეკეძინეთ. თვითეული მეთამბაქოე ხელით დღეში 80-100 შნურმეტრ თამბაქოს ნემსავს. მანქანა კი სულ სხვა არის, დღეში 2.000 შნურმეტრს აკინძავს.

ჩითილების სარგავი და თამბაქოს ასაკინძი მანქანების მართვა წლეულს ბევრ კოლმეურნეს შეეასწავლეთ.

აქვე მინდა ერთ საჭირბოროტო საკითხს შევეხო. გასულ ზამთარს, დიდთოვლობის დროს დაზიანებული თამბაქოს საშრობი ფარდულების შესაკეთებლად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საკმაო რაოდენობის ხეტყე გამოგვიყო. 2.000 კუბმეტრი დაზიანებული საშრობი ფარდულების აღსადგენად გვაქვს გათვალისწინებული. თამბაქოს შეტენვა შერჩევით დაიწყო. მაგრამ „საქსოფლტექნიკის“ მუშაკთა უყურადღებობის გამო დღემდე არცერთი კუბმეტრი 6-მეტრიანი სტანდარტული ხემასალა არ მიგვიღია. გვაკლია აგრეთვე პოლეთილენის საფარი. ეს უნდა გამოსწორდეს.

Ბ. ᲙᲐᲙᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

ᲡᲙᲙᲞ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის გაჩაღებულია სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში გამარჯვება და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის მიღწევა დღეს მხოლოდ კომპალექსური მექანიზაციის დანერგვითა და მანქანების მაღალნაყოფიერად გამოყენებით შეიძლება.

ამას წინათ ჩვენი ქვეყნის ცნობილმა მექანიზატორებმა კოლექტიური წერილი გაუგზავნეს ლ. ი. ბრეჟნევს. მექანიზატორებმა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს აღუთქვეს, რომ მანქანების მაღალნაყოფიერად გამოყენებით მეათე ხუთწლედის პირველ წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციით, სამუშაო დროის ყაირათიანად გამოყენებით მიიღებენ უხვ მოსავალს.

საპასუხო წერილში ლ. ი. ბრეჟნევმა დიდი მადლობა გადაუხადა მექანიზატორებს, უსურვა ახალი წარმატებები შრომაში და იმედი გამოთქვა, რომ მათს მაგალითს მიბაძავენ ჩვენი ქვეყნის მექანიზატორები.

„კომუნისტის“ ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალები მოგვითხრობენ მანქანების მაღალნაყოფიერად გამოყენებაზე, სოციალისტური შეჯიბრების შართოდ გაშლაზე, ინტენსიფიკაციებზე, რაც ჯერ კიდევ არის სოფლად და, რომელიც აფერხებს წინსვლას.

ᲜᲐᲡᲐᲙᲘᲠᲐᲚᲘ — ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲕᲔ

ᲒᲐᲠᲯᲘᲜᲐ ᲨᲐᲑᲚᲘᲫᲙᲐᲘᲐᲡ
ᲒᲐᲛᲝᲒᲫᲘᲚᲔᲑᲐ — ᲧᲕᲔᲚᲐᲡ!

ᲜᲐᲡᲐᲙᲘᲠᲐᲚᲘᲡ რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის ინტენსიფიკაციონალურ კოლექტივში ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, ბელორუსები და სხვა ეროვნების შვილები მეგობრულად შრომობენ და ცხოვრობენ. მათი მადლიანი მარჯვნის წყალობით არის, რომ მეურნეობა ამაყობს ჩაისა და ციტრუსების, ვენახებისა და დაფნის უბვმოსავლიანი ბაღ-პლანტაციებით.

მეურნეობაში ბევრმა წარჩინებულმა მუშამ ისახელა თავი სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩაის უხვი მოსავლის მიღებით სახელი გაითქვეს მარიამ კუფაკოვამ, სონია ჯეირანიანმა, ელადიერ გიორგნმა, მარიამ ჭკირიამ, პარტიის მახარაძის რაიონული კომიტეტის წევრმა მელანია ნესტერენკომ და სხვებმა. მაგრამ, როგორც იტყვიან, მჯობნის მჯობნი არ დიალევი. მეურნეობის კოლექტივში განსაკუთრებული ქება, და სიყვარული აქვს მოპოვებული სოციალისტური შეჯიბრების მთავარეს, სოციალისტური შრომის გმირს, ცნობილ მეჩაიე გარჯინა შაბლიცკაიას. საინტერესოა ამ გმირი ქალის შრომითი ისტორია...

ეს იყო 1934 წელს. ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ვორონეჟის ოლქის ნიკიტოვის რაიონის სოფელ რომხოვიდან საცხოვრებლად ჩამოვიდა გარჯინა შაბლიცკაია. მაშინ იგი გამოუცდელი ახალგაზრდა იყო. ფოთლის კრეფა იმ წელსვე დაიწყო.

გადიოდა წლები, გარჯინა „მწვანე ოქროს“ უხვი მოსავლის მიღებაში თანდათან დახელოვნდა: 1949 წელს ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავლის მოყვანისათვის მას სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

გარჯინა შაბლიცკაიამ ჩინებული შედეგებით დაამთავრა მეცხრე ხუთწლედი — 45 ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა.

მეჩაიე თვალისჩინეიით უკლის პლანტაციას. ამიტომაც არის, რომ მას ყოველთვის ჩაის ფოთლის უხვი მოსავალი მოპყავს. მის პლანტაციაში თითქმის ყოველდღე მოსაკრეფი ლორთქო დუღები. მან შარშან 9,5 ტონა ჩაის ნედლეული მიპყიდა სახელმწიფოს, აქედან 72 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო.

წარჩინებულმა მეჩაიემ გარჯინა შაბლიცკაიამ გადაწყვიტა წლეულს მოკრიფოს სულ ცოტა 10 ტონა „მწვანე ოქრო“ და მეათე ხუთწლედის დავალება 4 წელიწადში შეასრულოს. მან უკვე დაიწყო პირობის შესრულება, ყოველდღე 50-60 კილოგრამ ფოთოლს კრეფს. უკვე 3.453 კილოგრამი ნედლეული აქვს მოკრეფილი. მაის-ივნისის დავალება ვადაზე 15 დღით ადრე — 15 თებერვლისათვის შესრულა.

საქართველოს ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობა ჩემი მეორე სამშობლოა, — ხშირად ამბობს გარჯინა, — პირველად აქ ჩავედი შრომითის ფერხულში. პარტიამ, მთავრობამ დიდად დააფასეს ჩემი — უბრალო მეჩაიე ქალის ალაფი შრომა და დიდი ჯილდო მომანიჭეს. ენერგიას, ძალასა და მონდომებას არ დავზოგავ, რათა სამშობლოს ყოველწლიურად მივცე რაც შეიძლება მეტი, მაღალხარისხოვანი „მწვანე ოქრო“.

ოჯახიც დიდებული აქვს ამ გაბრჯენ ქალს — მისი ქმარი ივანე ივანეს-ძე შაბლიცკი ყველაზე მოწინავე მძღოლად ითვლება მეურნეობაში.

ნასაკირლელები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის სივაშის საბჭოთა მეურნეობასთან. ამ შეჯიბრებაში გამარჯვების მოსაპოვებლად სხვებთან ერთად თავისი წვლილი შეაქვს გმირ მეჩაიე გარჯინა შაბლიცკაიას.

Д. ᲒᲝᲒᲘᲑᲔᲠᲘᲫᲔ,
მახარაძის რაიონის ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ნოვატორი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი Გ. ᲨᲐᲑᲚᲘᲪᲙᲐᲘᲐ.

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲧᲐᲓᲠᲘ

ᲐᲡᲔ ᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲜ ᲫᲛᲔᲑᲘ ᲙᲔᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ

ᲨᲠᲝᲛᲐ ჩვენში დიდებისა და სახელის საქმეა. ამის ნათელი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულში ჩამწვდომი, ღრმა შინაარსიანი წერილი, რომლითაც მან სოფლის მეურნეობის წარჩინებულ მექანიზატორებს მიმართა.

ძმებმა გადავწყვიტეთ შეგვექმნა სათოხნი კოლმეურნეობის მოვლა-დამუშავების კომპლექსური მექანიზებული რგოლი. ჩვენს განზრახვას მხარი დაუჭირა რაიონის ხელმძღვანელობამ, კოლმეურნეობის გამგეობამ მოსავლელად მიგვიჩინა 130 ჰექტარი. აქ 100 ჰექტარზე სიმინდი დავთესეთ, ხოლო 30 ჰექტარზე — მზესუმზირა.

ჩავებით სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვიკისრეთ ხელის შრომის გამოუყენებლად ჰექტარზე საშუალოდ მოგვეღო 30 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 25 ცენტნერისა და 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 16 ცენტნერი მზესუმზირა ნაცვლად მისი ნახევრისა. პირობა გადაჭარბებით შეასრულეთ. ეს მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს იყო.

მეათე ხუთწლედის პირველ წელს გადავწყვიტეთ 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 40 ცენტნერამდე სიმინდი, ასევე ორჯერ მეტი მივიღოთ მზესუმზირის მოსავალი. გარდა ამისა გვაქვს ტექნოლოგიური რუკა და ამის მიხედვით ვიკისრეთ დანახარჯები მთლიანი პროდუქციის თვითეულ მანეთზე გვქონდეს მხოლოდ 13 კაპიკი.

ᲠᲒᲝᲚᲘᲡ განკარგულებაშია ორი ტრაქტორი და სხვა აუცილებელი ტექნიკა. ჩვენს წინაშე დასახა ამოცანა ჯერ აგროწესით დაგვემუშავებინა ნიადაგი, შემდეგ დაგვეთესა. ნორმით თესვა 7 დღეში უნდა დაგვემთავრებინა, რადგან გამოყოფილი ნიადაგი ქვიანი იყო. ამიტომ მოგვიხდა დღეღამური გამომუშავების გადიდებაზე ფიქრი. უწინარეს ყოვლისა, თესვაზე სამუშაო დღე უნდა გაგვედიდებინა 13-14 საათამდე. ძმებმა მოვითათბირეთ, გამოვიანგარიშეთ რამდენი შეიძლება დაითესოს დღეში, საათში, როგორ უნდა ვიმუშაოთ, რომ ზამომუშავებაც დიდი იყოს და ხარისხიც ჩინებული.

სამუშაოზე დილის 6 საათზე გავდიოდით და გვიან საღამომდე ვთესავდით. ყოველდღე სამუშაოს დამთავრებისას ტექნიკას ვამოწმებდით, რომ მეორე დღეს შეფერხება არ ყოფილიყო. სამუშაო დრო 3 დღით შევამცირეთ.

ერთი სიტყვით, მზრუნველ ხელს არ ვაკლებთ, როგორც სიმინდის, ისე მზესუმზირის ნათესს.

შედეგიც კარგია. კომპლექსური მექანიზაციის რგოლის შექმნამდე ეკაცდღეზე ვიღებდით 6 მანეთსა და 20 კაპიკს, ახლა ამ ანაზღაურებამ 9 მანეთსა და 23 კაპიკს გადააჭარბა. შარშან ამ დროს საწვავის ეკონომია გვქონდა 8 პროცენტი, წლეულს დღემდე — 15 პროცენტია.

მარტო რგოლის მოსავლელი ნათესების მოვლა-დამუშავებით რადი ვართ დაინტერესებული. თავისუფალ დროს კოლმეურნეობაში სხვა სამუშაოსაც ვასრულებთ: პირუტყვისათვის საკვებს ვამზადებთ, პურეულს ვმკით, ნაწვერალზე სიმინდს ვთესავთ და სხვ., ე. ი. მინდვრის სამუშაოებზე მანქანების მაღალი წარმადობა შესაძლებლობას გვაძლევს შეკეთნათ ტრაქტორების რეზერვი სხვა სამუშაოთა შესასრულებლად.

ეშრომებთ დაუცხრომლად, სოციალისტური შეჯიბრების უფართოდ გაშლით და ხელის შრომის გამოუყენებლად, ნაკლები დანახარჯებით დავახვავებთ პროდუქტებს — ასეთია ჩვენი გადაწყვეტილება.

Თ. ᲙᲔᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ხაგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდის კოლმეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის რგოლის ხელმძღვანელი.

Ო. ᲙᲔᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
მერგოლური, მექანიზატორი.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲤᲠᲗᲔᲑᲘ

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის, ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

პირადად მე, როგორც მექანიზატორი, მეურნეობის მუშებთან, სპეციალისტებთან ერთად დილიდან საღამომდე ზვრებში ვტრიალებ, ვიბრძვი იმისათვის, რომ ვენახში არ იყოს ბალახი, ჭრაქი არ გაგრცელდეს.

აგრეგატით ვენახს დღეში ნაშუალოდ 10 ჰექტარზე ვასუფრებ ფამალს ნაცვლად 8 ჰექტარისა.

მეურნეობაში მარტო ეაზის ავადმყოფობის წინააღმდეგ წამალობაზე როდი ვიყენებ მექანიზაციას. მწყრივთა შორის ნიადაგის დამუშავებას, ხასუქის შეტანას და სხვა სამუშაოებს მხოლოდ მანქანით ვასრულებთ.

მანქანა, რომლითაც ეაზს ვწამლავ, მუდამ მზად არის სამუშაოდ. სიძნელეებს დროს ტრაქტორს ვუყეთებ გრძელ შლანგებს და ამით ვწამლავ ეაზს. ერთი სიტყვით, მექანიზატორებს საზრუნავი არ აკლდებათ. დროულად ვიდონებთ ყველაფერს, რომ ყურძნის უხვი მოსავალი მივიწიოთ.

ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲒᲣᲗᲘᲮᲣᲜᲘ,
ქასპის რაიონის ოკამის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი.

ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

„ჩა-900“-ᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ — ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ

ᲒᲐᲚᲘᲡ რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის კოლეტივმა ხანგრძლივ ჭიარეულ ამინდს ბეჯითი შრომა დუპირისპირა. მაის-ივნისში გეგმით მეურნეობაში უნდა მოკრიფოთ 1.920 ტონა „მწვანე ოქრო“. ამ ამოცანის შესასრულებლად ხელიდან არ გაგვიშვია ოდნავ ხელსაყრელი ამინდი და შესაძლებლობა. მის შემდეგ, რაც კრეფა დავიწყეთ, ყოველდღიურად 1.500-1.600 მკრეფავი გამოდიოდა სამუშაოდ პლანტაციებში.

ჩაის ფოთლის ხელით მკრეფავთა მზარდმზარ მონდომებით შრომობენ მეურნეობაში შექმნილი კომპლექსური ბრიგადები და რგოლები. კომპლექსური მექანიზაციის საშუალების ბრიგადებმა, რგოლებმა და მექანიზატორებმა უკვე მოკრიფეს 435 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული. მათთან ერთად წარმატებით კრეფენ ნედლეულს ჩაის ხელით საკრეფი აპარატით, რომლებიც მეურნეობაში 300 ცალზე მეტია. მცირე მექანიზაციით ჩაის კრეფაში გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლებოდა, რომ მშენებარე ორგანიზაციებს პლანტაციების ელექტროფიცირების სამუშაოები დროულად შეესრულებინა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის აგროგანყოფილებებში, ბრიგადებსა და ცალკეულ მუშებს შორის ფართოდაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. სისტემატიურად ვამოწმებთ ვალდებულებათა შესრულებას. აგროგანყოფილებათა და ბრიგადებს შორის ნახევრისა წლის შედეგებით გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცემათ გარდამავალი წითელი დროშები, ხოლო რგოლებს, მუშებსა და მექანიზატორებს — ვიმპელები. ამასთან ერთად, მატერიალური დაინტერესების მიზნით მოწინავეებს მიეცემათ ფულადი ჯილდოები მეურნეობის მატერიალური სტიმულირების ფონდიდან.

მიმდინარე სეზონის დაწყებიდან დაწინაურდნენ მეხუთე, მეექვსე, მერვე, მეთერთმეტე აგროგანყოფილებები, რომლებსაც კომუნისტები რეგაზ არაბაძეა, ვალოდი შენგელია, გიგა მოდებაძე და კონსტანტინე კოსტარია ხელმძღვანელობენ.

ჩაის ფოთლის კრეფაში ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით თავი ისახელეს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ჯიმშერ კობახიძე, აკაბინდილ ლაგვილავა, შალვა დარსანია და ზაურ ზაქარაია ხელმძღვანელობენ.

მეჩაიე მექანიზატორთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა გულოვანი ხასია, რომელმაც „ჩა-900“ — მანქანით უკვე მოკრიფა 25 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. ასევე ბეჯითად შრომობენ მექანიზატორები მედეა ლატარია, თენგიზ ქობალია, ტერენტი ქეკუა.

მცირე მექანიზაციას კარგად აუღეს ალაფი მკრეფავებმა — მარია დანილოვამ, ოთარ მიქაძემ, ნიკოლოზ შატოვმა, ნათელა მიქავამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ელენე ბუტკოფსკაიამ და სხვებმა, რომლებიც ყოველდღიურად კრეფენ 250-300 კილოგრამის ჩაის ფოთოლს, ხოლო თამარ ნიტიშვილმა ერთ დღეს 513 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფა.

მიმდინარე სეზონში გეგმით გათვალისწინებული 3.750 ტონიდან და ვალდებულებით ნაკისრი 4.000 ტონიდან — 2.000 ტონა მოიკრიფება დიდი და მცირე მექანიზაციის საშუალებით.

მიმდინარე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გავადიდებთ ფოთოლის წარმოებას, განსაკუთრებულ ყურადღებას მოვაქცევთ მისი ხარისხიანობის ამაღლებას. 1980 წელს სამშობლოს მივცემთ სულ ცოტა 4.600 ტონა „მწვანე ოქროს“.

Გ. ᲨᲔᲠᲕᲐᲨᲘᲫᲔ,
ვალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორი.

ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ

ᲩᲐᲘᲡ ფოთლის მექანიზაციის საქმე თანდათან წინ მიდის, ვითარდება. ჩაის ფოთლის საკრეფ მანქანებს „საქართველოსა“ და „ჩა-900“-ს მხარში ამოუდგა პატარა მანქანები. მანქანები ადამიანებს შრომას უმსუბუქებს. ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნივ — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის კოლმეურნეობის მექანიზატორი Ჯ. ᲐᲜᲗᲝᲫᲔ „ჩა-900“-ის საჭესთან; მარჯვნივ — ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე ᲜᲘᲜᲐ ᲞᲐᲜᲐᲡᲔᲜᲙᲝ ჩაის ხელით საკრეფი მანქანით მუშაობის დროს.

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ კულტურების მოსავლის საუკეთესო ვადებში და უდანაკარგოდ აღება დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო საქმეა, მით უმეტეს პურეულის აღება. პურეულის ვადაზე და უდანაკარგოდ აღებაში განსაკუთრებული როლი კომბაინერთა შრომის ოსტატობას ენიჭება.

კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებას დიდ ყურადღებას უთმობენ ყვარლის რაიონში. აქ კომბაინერთა დაინტერესებასა და ახალი ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებაში მექანიზატორთა პირადი წვლილის შეტანის უზრუნველსაყოფად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის მიზნით დაიწესეს ჯამახალისებელი პრემიები:

კომბაინერებისათვის დაწესებულია ორი პირველი პრემია თითო 150 მანეთის ოდენობით, სამი მეორე პრემია თითო 100 მანეთის ოდენობით და ოთხი მესამე პრემია თითო 50 მანეთის ოდენობით. პრემიები გაიცემა იმ პირობით, თუ მოსავალს აიღებენ უდანაკარგოდ და არა უმეტეს 12 სამუშაო დღისა. ამასთან კომბაინერმა უნდა შეასრულოს კომბაინის მაღალი დატვირთვის სეზონური ნორმა და დაზოგოს საწვავი.

მოსავლის აღებაში მოშუშავე ავტომანქანის იმ მძღოლებზე, ვინც მეტ ტონაკილომეტრს გამოიმუშავებს, დაწესებულია: ორი პირველი პრემია თითო 100 მანეთის ოდენობით, სამი მეორე პრემია თითო 70 მანეთის ოდენობით და ოთხი მესამე პრემია თითო 50 მანეთის ოდენობით. ამასთან მძღოლმა უნდა უზრუნველყოს ავტომანქანის უფარო და გაუცდენლად მუშაობა, არ უნდა გადახარჯოს საწვავი.

მოსავლის აღებაში ყოველდღიურად გამარჯვებულ კომბაინერს შესაბამისი კოლმეურნეობიდან და საბჭოთა მეურნეობიდან მიეცემა დღეში 10 მანეთი, ხოლო ავტომძღოლს — 5 მანეთი. ეს იმ პირობით, თუ ცვლის გამომუშავების ნორმა შესრულდება და სამუშაოც ხარისხიანი იქნება.

დაწესდა რაიონის მკვიდრი კომბაინერის, დიდ სამამულო ომში დაღუპული ალექსანდრე მოროზოვის სახელობის პრიზი 100 მანეთის ოდენობით. ჯილდო გადაეცემა იმ კომბაინერს, რომელიც ერთ სამუშაო დღეში ყველაზე მეტ პურეულს აიღებს და დიდი რაოდენობით მარცვალს გალეწავს. პრიზი მიეკუთვნება იმ პირობით, თუ შესრულდება კომბაინის დატვირთვის სეზონური ნორმა და საწვავს არ გადახარჯავს.

ვინ იყო ალექსანდრე მოროზოვი? ომამდე ოგი „კომუნარის“ მარკის კომბაინით დღეში 18-20 ჰექტარზე მკიდა მოსავალს, ხოლო სეზონზე — 250-280 ჰექტარზე. ყვარლის რაიონში მან პირველმა შემოიღო კომბაინით ღამე მოსავლის აღება. 1941 წელს მოროზოვი ფრონტზე წავიდა. ალექსანდრე მოროზოვის პრიზი გასულ წელს მიენიჭა „ქინძმარაულის“ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კომბაინერს ბიძინა მოვლილიშვილს.

სხვა რაიონებიდან დასაჩარებლად ჩასულ ყველა კომბაინერსა და მძღოლს ვინც შეასრულებს დღიური გამომუშავების ნორმებს, სეზონის ბოლოსათვის ფასიანი საჩუქარი მიეცემა.

წნეხამკრეფზე მომუშავე გამარჯვებული მექანიზატორებისათვის დაწესებულია სამი ჯილდო: პირველი 100 მანეთის, მეორე 70 მანეთის და მესამე 50 მანეთის ოდენობით.

ნაწვერალის ხვნასა და თესვაზე მომუშავე მექანიზატორებისათვის დაწესებულია ორი ჯილდო, პირველი — 100 მანეთი, ხოლო მეორე 50 მანეთის ოდენობით.

ნაწვერალზე ნათესი სიმინდისა და ლობიოს ნათესებიდან ჰექტარზე ყველაზე მეტი მარცვლის და მწვანე მასის მიღებაში გამარჯვებული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის სტრატეგორო ბრიგადებზე მეურნეობის სახსრებიდან გაიცემა 300-300 მანეთი, ეს თანხა მექანიზატორებზე განაწილდება ბრიგადის წევრთა გადაწყვე

კოსმონავტთა ოჯახს ორი ძმა შეემატა

„სოიუზ-21“ ხომალდის ეკიპაჟის ამბავი



ხუთწლედის გიგანტური ნაბიჯები! ეს არის მწყობრში ჩამდგარი ქარხნები და ელექტროსადგურები, შახტები და მაღაროები, დამრობილი მიწების პირველი ძნები და დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების სტარტები. ჩვენი ქვეყნის კოსმოსური პროგრამა — სკკპ XXV ყრილობაზე ჩამოყალიბებული ხუთწლიანი გეგმის ნაწილი, წარმატებით ხორციელდება. ფართოვდება გამოკვლევები დედამიწის ბუნებრივი რესურსების შესწავლა საარსებო მოთხოვნილებად იქცა. ეს მკაფიოდაა ნათქვამი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებში. ავიღოთ, მაგალითად, გლაციოლოგია, მყინვარების — მტკნარი წყლის ამ „ფაბრიკების“ და ამის „რეგულატორების“ წარმოქმნისა და დნობის კანონზომიერებათა შეცნობამ შეიძლება ბევრი სასარგებლო რამ მისცეს ადამიანებს.

— არის საქმის ერთი მხარე, რომელსაც სახარბიელო მომავალი ელის, — „ჩაერია საუბარში ბორტინჟინერი ელოლობოვი. სახელდობრ, ადამიანის მიერ კოსმოსის ისეთი უნიკალური ფაქტორების გამოყენება, როგორიცაა ვაკუუმი და უწონობა. ჩვენ ვდგავართ მონოკრისტალების, სხვადასხვა შენადნობის შექმნისა და თუნდაც ისეთ მზა სახეობათა პროდუქციის მიღების გზაზე, როგორიცაა, მაგალითად, ბურთულები საკისრის მრეწველობისათვის, მინა-ოპტიკისათვის და სხვ.

ახლა დრო მკითხველებს გავაცნოთ 39 წლის ინჟინერი, პოდპოლკოვნიკი ვიტალი მიხეილის-ძე ელოლობოვი.

ჩვენ წინათაც შეხვედრივართ კოსმოდრომზე და ვარსკვლავეთა ქალაქში, როცა იგი „სოიუზ-14“-ის ბორტინჟინერის პავლე პოპოვიჩის ეკიპაჟის წევრის იური არტიუხინის დუბლიორი იყო. სპეციალისტთა აზრით, იგი სრულყოფილად დაეუფლა კოსმოსურ ტექნიკას, როგორც იტყვიან, ოცავსი ხუთი თითივით იცის „სოიუზისა“ და ორბიტული სამეცნიერო ლაბორატორიების მთელი რთული მეურნეობა. ეს ბუნებრივიცაა. ვიტალი ელოლობოვი კოსმონავტთა რაზმში არც ისეთი ახალბედაა — აქ იგი 1963 წელს მოვიდა. სწორედ მაშინ გაფრინდნენ ვალერი ბიკოვსკი და ვალენტინა ტერეშკოვა. ვარსკვლავეთა ქალაქში მიიღეს პარტიის წევრად. ინჟინერმა ძირითად სამუშაოს მოუწყვეტლივ მიიღო ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის დამთავრების დიპლომი.

ვ. ელოლობოვი უკრაინაში, ხერსონის ოლქის სოფელ სტარაია ზბურიეკაში დაიბადა. მოწაფეობის წლები ბაქოში გაატარა. ბავშვობიდანვე მეზღვაურობას ნატრობდა — მამამისი კაპიტანი იყო და გემი დაპყავდა კასპიის ზღვაში. მაგრამ მეგობრებმა „შეაცდინეს“ და საბუთები საინჟინეროზე შეატანინეს. 1959 წელს მან დიპლომი დაიცვა აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტში.

— უნებლიედ ფატალისტი გახდები კაცი, — ამბობს ბორის ვოლინოვი და თავიანი ამხანაგის ბიოგრაფიის ერთ-ერთ ეპიზოდს იგონებს. — ვინ იცის, შეიძლება ელოლობოვი ახლა ცნობილი სპეციალისტი ყოფილიყო ნავთობის ქვეშეთში...

...მაგრამ ინჟინერი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. ტელემექანიკის სპეციალისტად ორი წლის მუშაობამ მას კიდევ უფრო გაუღვიძა ტექნიკისადმი ინტერესი. კოსმოსური ერის პირველი წლები იყო. გაფრინდნენ იური გაგარინი, გერმან ტიტოვი. ყოველივე ამის შემყურე ახალგაზრდა დუდერომელი ინჟინერი გულგრილი ვერ იქნებოდა. გაზეთებში ბევრს სწერდნენ ხომალდ „ვოსტოკ“-ზე, მის სისტემებზე, ვიტალი ელოლობოვს კი მაგიდაზე ციოლკოვსკის წიგნები დაესვენებინა.

ვვრძნობდი, რომ ადრე თუ გვიან ხომალდზე ინჟინრის ადგილიც გამოინახებოდა, — იგონებს კოსმონავტი. — სწორედ მაშინ დავიწყე ჩემი „კოსმოსური“ ანგარიში. კოსმოსი ანდამატივით მიზიდავდა, სულს მიფორიაქებდა.

— აკი აგიფორიაქა კიდეც, — ღიმილით თქვა მეთაურმა.

— მართლაც რომ, — დაეთანხმა ბორტინჟინერი.

—აღტაცება შენი პარტნიორის ღრმა ცოდნით, — აი, რა იყო, ბორის ვოლინოვის აზრით, ის ვარსკვლავი, რომლის ქვეშაც მათი სამი წლის თანამეგობრობა ვითარდებოდა. მათ სხვადასხვა ტრენაჟერებზე საერთო ჯამში ათას-ათასი საათი გატარეს. რამდენჯერმე გამეორეს თავიდან ბოლომდე ფრენის ყველაზე პასუხსაგები დინამიკური ოპერაციები. ვინ მოთვლის, რამდენჯერ მუშხვდრებიათ ისინი ინსტრუქტორ-მეთოდისტებს გაუთვალისწინებელ და ავარიულ სიტუაციებში, მაგრამ ტრენაჟერის კაბინიდან ყოველთვის ერთმანეთის კმაყოფილი გამოდიოდნენ.

— „სალუტის“ სადგურების რომელ ეკიპაჟს დაამყენებდით ულაფრ მაღლა?

— ყველას, —ამბობს ხომალდის მეთაური, — სწორედ რომ ყველას, რადგან ყოველგვარ ექსპედიციას ორბიტული სადგურით, ან ხომალდის ეკიპაჟის მუშაობას თავისი ზუსტად განსაზღვრული ამოცანები აქვს. ამასთან, ყველა ექსპერიმენტი მიდის სრულყოფის აღმავალი ხაზით. ჩვენ განსაკუთრებით გულდასმით ვაანალიზებდით ორი ჩვენი წინამორბედი ეკიპაჟის რეისებს. უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მათ არა მარტო შეისისხლსორცეს პირველი გაფრენების გამოცდილება, არამედ მნიშვნელოვნადაც ჯაამდიდრეს იგი.

ჩვენ საგულდაგულოდ ვსწავლობდით ყველა ჩვენი ამხანაგის გამოცდილებას, — დასძინა ბორტინჟინერმა. — მისი გააზრება შესაძლებლობას გვაძლევს უკეთ გამოვიყენოთ ყოველივე საუკეთესო, რასაც მათ მიაღწიეს. ასევე მოეკიდებიან ჩვენს გამოცდილებას ისინიც, ვინც ჩვენს შემდეგ ეაფრინდება.

— როგორ არის განაწილებული მოვალეობანი ეკიპაჟის წევრებს შორის?

— ჩვენი მუშაობის საფუძველი ის არის, რომ ზუსტად ვასრულებდეთ ჩვენ-ჩვენს უშუალო მოვალეობას და ამასთანავე შეგვეძლოს ერთმანეთის შეცვლა. აქ უნივერსალიზმია საჭირო, — გვიხსნის მეთაური, — იგი კარგი თანაშემწეა ჩვენს საქმეში. ვიმეორებ, ყოველი ფრენის პროგრამა მრავალფეროვანია და რთული, დრო კი, მოგეხსენებათ, არასდროს არ გვყოფნის. ვთქვათ, დღის განმავლობაში ოთხი სამეცნიერო ექსპერიმენტი უნდა მოვაწყოთ. ორი კაცი ამ საქმეს უფრო მალე მორჩება, ვიდრე ერთი. არც ის უნდა დაგვიწყდეს, რომ რომელიმე ჩვენგანი შეიძლება ავად გახდეს. კოსმონავტები კი ვართ, მაგრამ რა იცი, რა მოხდება, ხალხნი ვართ.

იულისში საბჭოთა კავშირ-ამერიკის „სოიუზ-აპოლონის“ პროგრამით მოწყობილი ექსპერიმენტის წლისთავი სრულდება...

ეს დიდი მიღწევა იყო, რომელმაც მსოფლიო საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება მიიღო, — ამბობს ბორის ვოლინოვი. — თანაც ეს იყო საქმიანი, სამუშაო ფრენა, რომელიც მომავლის მიზნებს ემსახურებოდა. ამას ამბობდნენ ალექსი ლეონოვიც და ვალერი კუბასოვიც. ასევე ფიქრობენ თავიანთ საქმეზე ყველანი — ბამის მშენებლებიც და ყუბანელი მხვნელ-მთესველებიც...

საუბარს მოვრჩით. ახლა ეკიპაჟს დასვენების საათი აქვს, ბ. ვოლინოვთან და ვ. ელოლობოვთან ერთად მივაბიჯებთ ვარსკვლავეთა ქალაქში და გავეცნირით უზარმაზარ კოლონტუსებს, სადაც სასწავლო კაბინეტები, ლაბორატორიები და ტრენაჟერებია. იქ ამეცადინებენ და ავარჯიშებენ იმათ, ვინც სახვალიო სტარტებისათვის ემზადება. სასწავლო კორპუსის შესასვლელთან ხალხს მოუყრია თავი. მომავალი კოსმონავტები გარს შემორტყმიან კოსმონავტთა მზადების ცენტრის უფროსის მოადგილეს ალექსი ლეონოვს, რომელიც ცარცით სატაკს რაღაცას ტრიტუარის ბეტონის ფილებზე. არა, ეს გრაფიკის ეკვივალენტი არ უნდა იყოს, იხილავენ „მივ“-ებით საწერთნელი ფრენის გეგმას.

— გენერალი ყველაფერს ეპატიებს თავის მოწაფეებს, — იღიმება ვოლინოვი, — მაგრამ თუ „ნაფრენი საათების“ გრაფაში მატრიკულში ჩანაწერი არა გაქვს, შავ დღეს დაგაყარის.

ახალშენი პარკის ხიმყუდროვეში ბრინჯაოს იური გაგარინი დგას. თანაც ისე დგას, გეგონება წუთით გამოვიდაო დასასვენებლად. აბა, როგორ არ შეჩერდები ძეგლთან... ყოველ ჩვენგანს უნებლიედ აგონდება თხუთმეტი წლის წინანდელი აპრილის დღე, როცა პირველი დედამიწელი კომუნისტი გაგარინი კოსმოსში აიჭრა. დაუვიწყარია სიტყვები, გაგარინმა რომ თქვა სტარტის წინ: „...ყველა დროისა და ყველა ეპოქის ადამიანებისათვის უზენაესი ბედნიერება იყო ახალ აღმოჩენებში მონაწილეობა“.

ასე იყო, ასეა და ასე იქნება.

ნ. ჟელეზნოვი,
ა. რომანოვი,
საკდესის სპეც. კორესპონდენტები.
ვარსკვლავეთა ქალაქი.



ხურათზე: კოსმოსური ხომალდ „სოიუზ-21“-ის ეკიპაჟი: ხომალდის მეთაური ბორის ვოლინოვი (წინა პლანზე) და ბორტინჟინერი ვიტალი ელოლობოვი სტარტის წინ.

მსოფლიოს ამბები

ლენინგრადი ბიბლიოთეკა

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ლიბანი

ვითარება კვლავ გამწვავდა

ბეირუთი. (საკდესი). ლიბანში კვლავ მკვეთრად გამწვავდა ვითარება. ეს გამოწვეულია უწინარეს ყოვლისა იმით, რომ მემარჯვენე ქრისტიანულმა ძალებმა განაახლეს გაადფთრებული ომრიშები პალესტინელ ლტოლვილთა ტელზაათარის ბანაკის წინააღმდეგ, რომელიც ლიბანის დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბანში მდებარეობს.

როგორც ლიბანის პრესა იუწყება, 5 ივლისი ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი იყო შეიარაღებული შეტაკებების განმავლობაში, რომლებიც 14 თვეზე მეტია გრძელდება ქვეყანაში. საომარი მოქმედების რაიონებში დაიღუპა 259 კაცი და დაიჭრა დაახლოებით 240.

მოწინააღმდეგე მხარეებს შორის შეიარაღებული შეტაკებებისა და სროლის გაძლიერებას მოჰყვა ის, რომ გადაიდო „შერიგების კონფერენციის“ მონაწილეთა 5 ივლისის ახალი შეხვედრა სოფარში (25 კილომეტრზე ბეირუთიდან). შეხვედრაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ნრაბეული ქვეყნების ლიგის კომიტეტის წევრებს ლიგის გენერალური მდივნის მ. რიადის მეთაურობით, აგრეთვე პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობისა და ლიბანის მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლებს.

ისევ ჩამოვიდა დამასკოდან ლიბანის დედაქალაქში ლიბიის პრემიერ-მინისტრი ა. ჯელუდი, რომელიც ცდილობს როგორმე მიაღწიოს ეცნლოს შეწყვეტასა და მოქიშპე მხარეთა ურთიერთობის პოლიტიკურ მოწესრიგებას.

ბელგია

ეროვნული ფრონტის ბოიკოტი

**ბრიუსელი. (საკდესი). ბელგიის ეროვნული ფრონტის ბოიკოტი გამოაცხადა ეროვნული ერთიანობის ბანაკის ბელგიელ მხარდამჭერთა ბანაკმა ბელგიის ეროვნული ფრონტის ბანაკის ბელგიელ მხარდამჭერთა ბანაკის ბოიკოტი

საქართველოს ამა-ხარში

მედალი მოქანდაკეს

წლის საუკეთესო ნამუშევარი

საქართველოს სსრ დამსახურებულ მხატვარს, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორს თეიმურაზ ჭყონოვს წლის საუკეთესო სკულპტურული ნამუშევრისათვის ცხატვართა კავშირის მედალი გადაეცა. ეს არის დირიჟორისა და კომპოზიტორის ჯანსუღ კახიძის. ბრინჯაოს პორტრეტი, რომელიც ექსპონირებული იყო როგორც საქართველოს, ისე საკავშირო გაძოფეხაზე მოსკოვში — „დიდება შრომას“.

ამ ნაწარმოების წარმატება შემთხვევითი არ არის. მოქანდაკის მიერ შექმნილმა პორტრეტებმა (გ. საკანდელიძე, ა. ლორია, ა. კუპრაშვილი, მ. ლებანიძე და სხვ.) მხატვარს პორტრეტისტი ოსტატის სახელი დუმკვიდრა.

„ჯანსუღ კახიძის პორტრეტი“ მარტო მსგავსებით კი არ გამოირჩევა, არამედ ხელოვანის ინტელექტის, შემოქმედებითი მისწრაფების გადმოცემით. ამას ემსახურება ქანდაკების ყოველი ელემენტი.

ს. ნაციაშვილი,
ხამხატვრო აკადემიის დოცენტი.

* * *

ხურათზე: კომპოზიტორისა და დირიჟორის ჯანსუღ კახიძის პორტრეტი.



გასტროლები დამთავრდა

აფხაზეთში 20 დღეს გრძელდებოდა ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები. სტუმრებმა სოხუმელ მაყურებელს წარმოუდგინეს თავიანთი საუკეთესო სპექტაკლები: ნ. სალამოვის დრამა „სამრატი და მისი შვილები“, რ. ხუბეცოვის დრამატული პოემა „დედის სახელი“, გ. ხუგაევის კომედია „სათი და ბათი“, ა. ოსტროვსკის დრამა „ქუხილი“, გ. რუსთამოვის კომედია „დღლათის ქორწილი“, ი. გოგიჩვილის კომედია „მე არ ვიქორწინებ“, შექსპირის „ჰამლეტი“. სპექტაკლებში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სტანისლავსკის სახელობის პრემიის ლაურეატი ვ. თხაპსაევი, რსფსრ სახალხო არტისტები კ. სლანოვი, ნ. სალამოვი, ვ. თუმანოვა, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო არტისტები ვ. ბალაევი, ო. ბეკუზაროვა, ბ. ბატაევი, ი. გოგიჩვი, ვ. მაკიევი, ვ. ურტაევა და სხვ.

აფხაზეთის მშრომელები გულწრფელად უკრავდნენ ტაშს ოსი მსახიობების ხალას ხელოვნებას.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქართული ჩაი საექსპორტოდ

ბათუმი. (საქინფორმის კორ.). ბათუმის ჩაის ფაბრიკიდან ზედიზედ გამოდიან ავტომანქანები, რომლებიც პირთამდეა დატვირთული დიდი ფანერის ყუთებით, ყუთებზე წერია „ქართული ჩაი — ექსპორტი“.

20 ტონა მაღალხარისხოვანი ბაიხაო ჩაი გაიგზავნა ამ რამდენიმე დღის წინათ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში. სულ ერთ ოვანი პროდუქციის დიდ პარტიებს გზავნან საზღვარგარეთ აჭარის ჩაის მრეწველობის სხვა საწარმოებიც. მაგალითად, მონგოლეთში დიდი მოთხოვნაა ჩაქვის ჩაის საწნები ფაბრიკის აგური ჩაიზე.

სეზონის დამდეგიდან ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოებმა სხვადასხვა ქვეყნისას უკვე 200 ტონა ქართული ჩაი გაუგზავნეს.



მონრეალი დღეს.

მონრეალი—ოლიმპიადის ქალაქი

პირველად —კანადაში

რა ვიცით მის შესახებ?

მონრეალი. კანადის უძველესი ქალაქი, ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო და სავაჭრო ცენტრია ჩრდილოეთ ამერიკაში. იგი მდებარეობს იქ, სადაც მდინარეები ოტავა და წმ. ლავრენტი ერთვის ერთმანეთს. ქალაქი კანადის ოკეანიდან დაშორებულია 1.600 კილომეტრით, მაგრამ იგი ერთ-ერთი უმსხვილესი საოკეანო ნავსადგური და რკინიგზის კვანძია. აქაური ჰავა მკაცრია, მდინარე წმ. ლავრენტი ხუთი თვის განმავლობაში ყინულით არის დაფარული.

მონრეალი, რომელიც კვებეკის პროვინციაში შედის, 1642 წელს ფრანგმა კოლონისტებმა დააარსეს. დასახლებას ვილ-მარი-დე-მონრეალი ეწოდება. იგი აშენდა ინდიელთა სოფლის ჰოჩელაგის (ჰოგელაგის) ადგილას. 1760 წელს ქალაქი ხელთ იგდეს ინგლისელებმა. ქალაქს შემორჩა სახელი მონრეალი, რაც ფრანგულად ნიშნავს „მეფის მთას“.

მონრეალი მოსახლეობის მხრივ უდიდესი ქალაქია კანადაში: 1800 წლისათვის აქ ცხოვრობდა 10 ათასი კაცი, 1901 წელს — 328 ათასი, 1951 წელს — 1022 ათასი, 1964 წელს — 2,5 მილიონი. 1971 წლის მონაცემებით, მონრეალის მცხოვრებთა რიცხვმა 2,7 მილიონს მიაღწია.

1672 წელს ხემინარიის მეთაურმა დოლიე დე კასონმა და მიწისმზომელმა ბასსემ შეადგინეს ქალაქის გეგმა. ქალაქის კედლები (1685 წლიდან ხისა, ხოლო 1723 წლიდან კი ქვისა) შემორჩენილი არ არის.

ადრეული არქიტექტურის ძეგლებია: სენ-სიულპიასის სემინარია (1680), რამზეს სასახლე (1705-24), ბონსეკურის ტაძარი (1657), მაკჰილის უნივერსიტეტი (1811), ნეო-გოთიკური ეკლესია ნოტრდამი (1824-29), ბაზარი „ბონსეკური“ (1843), უნივერმაღები „იანგი“ და „უოტსონი“, ეკლესია სენ-ჟორჟი (XIX ს.), ტაძარი სენ-ჟაკი (1875) და სხვ.

XIX საუკუნის დამლევიდან მონრეალში იწყება ამერიკული ტიპის ცათამბჯენების აგება (ბანკები, სასტუმროები, კანტორები), XX საუკუნის არქიტექტურიდან აღსანიშნავია მონრეალის ბანკი (1904), უნივერსიტეტი (1925-42), ცენტრალური ვაგზალი (1958), სავაჭრო ცენტრი (1960), ჰიქსონის ბიბლიოთეკა (1960), ფირმა „სან-ლაიფის“ ცათამბჯენი (1915) და სხვ.

ევროპისა და კანადის ხელოვნების ნიმუშები თავმოყრილია მონრეალის ხელოვნების მუზეუმში (დაარსდა 1860 წ.); კანადის ხალხური შემოქმედების ნიმუშები კი რამზეს სასახლის მუზეუმში. კანადის არქეოლოგიაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა მაკ-ჰილის უნივერსიტეტთან არსებული როსს მაკ-კორდის მუზეუმი.

მონრეალი ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო და სამრეწველო ცენტრია ჩრდილოეთ ამერიკაში (ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა. კვების, ქაღალდის, ხისდამუშავებელი მრეწველობა).

ქალაქს მართავს მერი, რომელიც სათავეში უდგას საბჭოს. საბჭო აერთიანებს 99 წევრს. ქალაქი დაყოფილია 11 რაიონად.

1967 წელს აქ მოეწყო ცნობილი მსოფლიო გამოფენა „მონრეალ-67“.

სულ რაღაც ცხრა დღე, და იგი უმასპინძლებს მსოფლიოს სპორტის უდიდეს დღესასწაულს — XXI ოლიმპიურ ასპარეზობას, რომლის დამთავრების შემდეგ იგი ესტაფეტას ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს მოსკოვს გადასცემს, სადაც „ოლიმპიადა-80“-ის ჩიროდნი დაინთება.

ხ. ნუცუბიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ს. აბულაძე

გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, სკკპ წევრი 1939 წლიდან დიმიტრი სარდიონის-ძე აბულაძე.

დ. აბულაძე დაიბადა 1911 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოში. 1933 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბორჯომის საჩამოსხმელო ქარხნის მექანიკური სახელოსნოს გამგედ. 1936 წლიდან მუშაობას იწყებს თბილისის ჯამის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში.

1941 წლიდან სამუშაოდ გადადის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში. იმავე წლიდან იგი სამშობლოს დამცველთა რიგებშია. 1942 წელს მძიმე ტრილობის მიღების შემდეგ დემობილიზებული იქნა და 1943 წლიდან მუშაობას განაგრძობს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში, სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატად, სასწავლებლის დირექტორად, სამმართველოს განყოფილების უფროსად, ხოლო 1954 წლიდან სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილედ. 1974 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი მუშაობდა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს დ. აბულაძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავისა და „სპატიოს ნიშნის“ ორდენებით, მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით. 1961 წელს მინიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება. იგი 1954 წლიდან სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრი იყო.

დ. აბულაძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი აღზრდილების, ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი; სახელმწიფო დაზღვევის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი.

მექინგიც დამარცხდა

ჰადრაკი

ერთი საათის დაგვიანებით...

მანილის საზონთაშორისო ტურნირის მეთექვსმეტე ტურში შეჯიბრების ლიდერი მეკინგი პირველი დამარცხების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა ბალაშოვთან შეხვედრაში. მეკინგმა სასტიკ ცაიტნოტში უკანასკნელი მე-40 საკონტროლო სვლის გაკეთება ძლივს მოასწრო. მიუხედავად ამისა, ბრაზილიელმა ზუსტად ითამაშა და პარტია, ალბათ, ყაიმით დამთავრდება.

შეჯიბრების ერთ-ერთმა ლიდერმა ჰორტმა წასაგები პოზიციაში გადადო პარტია ლბუბოევიჩთან. პოლუგაევსკიმ მარიოტისთან ხარისხი მოგო პაიკში.

ცეშკოვსკის ულამაზესთან უკეთესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია და პარტია თანაბარ მდგომარეობაში გადადო.

ტური ორი საათით ადრე დაიწყო. როგორც ჩანს, არგენტინელ ჰოჭადრაკეს კინტერროსს ეს მხედველობიდან გამორჩა და რიბლისთან საათამაშოდ გამოცხადდა მაშინ, როდესაც გასული იყო 1 საათი და 5 წუთი. მსაჯთა კოლეგიამ მას დამარცხება მიუსაჯა. კინტეროსმა პროტესტი განაცხადა. ჟიურის წევრთა ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდა — 2:2. ამიტომ ეს კონფლიქტი უნდა გადაწყვიტოს თვით ფიდე-ს პრეზიდენტმა, დოქტორმა ეივმ.

გუშინ, მეჩვიდმეტე ტურში პირველი დამარცხება განიცადა მეკინგმაც, რომელიც სპასკის შეხვდა. პოლუგაევსკიმ მოუგო ხარანდის, კავალეკმა — ცეშკოვსკის, ულამნმა — ბაიასსს, გეორგიუ-რიბლის პარტია ყაიმით დამთავრდა.

ლიდერთა სამეულის მდგომარეობა ასეთია: მეკინგი — 11,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ჰორტი — 11(2), პოლუგაევსკი — 11 (1).

ე. მელიქსეთბეგი.

ნ. გაფრინდაშვილი გამარჯვებით იწყებს

ავსტრალიაში დაიწყო ჭადრაკში ორი საერთაშორისო ტურნირი — დიდოსტატთა და ოსტატთა შეჯიბრება ვაჟთა შორის.

პირველ ტურნირში 16 მოჭადრაკეს შორის ჩვენი ქვეყნიდან მონაწილეობენ დიდოსტატები ვ. კორჩნოი და ა. გიპსლისი.

ოსტატთა ტურნირში გამოდის 11 ვაჟი და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ქალთა შორის ნონა გაფრინდაშვილი. აი ქართველი მოჭადრაკის მეტოქენი (წილისყრის მიხედვით): ესინგი (გერ), ფიბლი (ჩეხოსლოვაკია), მაკერა (აშშ), ტატაი (იტალია), ვანვიეგერდენი და ხარტოკი (ორივე — ჰოლანდია), ვესტერველდი (ავსტრია), სუმუნი (ინდონეზია), ვანბაარგე (ჰოლანდია), ჩოკილია (რუმინეთი), ვუდხამსი (ავსტრია).

პირველ ტურში ნ. გაფრინდაშვილმა დაამარცხა სუმუნი.

„კომუნისტის“ სპეც. კორ. ტელეფონით.

მუშაობა დაგის სიახლე

ბაკურიანის მახლობლად, ზღვის დონიდან 1550 მეტრზე მდებარეობს შერეული ტყით გარშემორტყმული მაღაროელთა დასვენებელი. საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტებმა, რომლებმაც დაამუშავეს ამ დაბის გაშენების პროექტი, უპირველესად, ეს ბუნებრივი პირობები და მშრომელთა ყოფა-ცხოვრების სულ უფრო მზარდი მოთხოვნები გათვალისწინეს.

პროექტით ორ და ოთხსართულიანი სექციები უნდა აშენდეს. მათს პროექტებს საფუძვლად უდევს იზოლირებული ბინების პრინციპი, ბინებისა, რომლებიც კომფორტით არ ჩამოუვარდება ქალაქის ბინებს. ამასთან, გათვალისწინებულია დაბის სახლების დამახასიათებელი ელემენტები და მთის რთული რელიეფი.

სახლების ტიპები, რომლებიც თბილისელმა არქიტექტორებმა შექმნეს, საფუძვლად დაედო ქვეყნის სამხრეთ რაიონებში სოფლის საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობის საპროექტო წინადადებებს და 1975 წელს მოსკოვში გამართულ საკავშირო კონკურსზე პირველი პრემიით აღინიშნა.

ხურათებზე: ზემოთ — მარცხნიდან: არქიტექტორები დათო ჯაფარიძე, ელიზბარ შერმაზანაშვილი და დალი გულვერდაშვილი აზუტებენ პროექტის დეტალებს. ქვემოთ — მაღე ასეთი სახლები აღიმართება მაღაროელთა დაბა ანდეზიტში.

შ. კრიწსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



☐ გათხრილია რამდენიმე ათასი კვადრატული მეტრი ნასოფლარი და სამაროვანი ☐ აღმოჩენილია 6 ათასი წლის წინათ დამზადებული ბრინჯაოს აბზინდა. ☐ ნაპოვნია თიხისაგან დაზადებული ბრწყინვალე დოქები ☐ მიაგნეს უძველეს სარწყავ სისტემებს ☐ რამდენი წლისაა ჩვენი დედაქალაქი?

იყო სოფელი, იყო სიცოცხლე

თბილელები — ასე ეწოდებოდა ახლანდელი დიდმის მასივის ტერიტორიის.

ეს იყო ადრე, დიდი ხნის წინათ...

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-14 და მე-13 საუკუნეებში მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ერთ-ერთ მოხაკვეთში დიდი სოფელი იყო.

გავიდა წლები. სოფელი ნასოფლარი გახდა. და აი მრავალი საუკუნის შემდეგ აღმოაჩინეს ნასოფლარები, ჩვენს წინაშეა ყორითა ნაშენი საფლავები, მიწადაქცეული ნოხჩხები, მათთვის შეწირულ ცხოველთა ძვლები და თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს იარაღი.

თბილელთა შრომაზე, ზნე-ჩვეულებებზე მათს ნასახლარებსა და სამარხებში აღმოჩენილი ექსპონატები დაოდებენ.

დიდმის ანუ თბილელების ნასოფლარსა და სამაროვანს 6.000 წლის ისტორია აქვს. ნასახლარები გავრცელებულია შედარებ დიდმისწყლის ორივე ნაპირზე. ეს არის ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ხანა, ენეოლითის— ადრე ბრინჯაოს ხანის დასახლება. ამავე ხანიდან ვხვდებით ამ ტერიტორიაზე სამაროვანსაც, აქ როგორც ნასახლარი, ისე სამაროვანი ფეოდალურ ხანამდე არსებობდა.

როგორც ჩანს, ყველაზე ძლიერი დასახლება ამ ტერიტორიაზე ეოფელი ე. წ. გვიანი ბრინჯაოს— ადრე რკინის ხანაში. იგი მოიცავს პერიოდს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-15 საუკუნიდან მე-5 საუკუნემდე. ეს ნასახლარი ამიერკავკასიაში არსებულ ძეგლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზულია. იგი განლაგებულია თრელიგორებად წოდებულ ბორცვებზე, რომლებიც გადაჭიმულია დიდმისწყლის მარცხენა ნაპირიდან სამხედრო გზის გასწვრივ სასტუმრო „უშბამდე“ და დაახლოებით 30 ჰექტარი ფართობი უჭირავს. რამდენიმე ათეულ ჰექტარზეა ამ ნასახლარის სამაროვანიც, რომელიც ოდნავ აღმოსავლეთით მდებარეობს და მტკვრის ნაპირამდე აღწევს. დიდი ნაწილი ამ სამაროვნისა მოქცეულია დღეანდელი დიდმის მასივის ტერიტორიაზე. როგორც ჩანს, აღნიშნული სამაროვანი უბნებად იყო განლაგებული. ერთ-ერთი ძირითადი უბანი ამჟამად გათხრის პროცესშია. აქ უკვე ასზე მეტი სამარხია გათხრილი და დამუშავებული. აღმოჩენილი მასალების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ დროის საზოგადოებაში მომხდარ ქონებრივ და სოციალურ დიფერენციაციაზე.

გათხრილი სამარხების ნაწილი ძალზე მდიდარია და მრავალ ინვენტარს შეიცავს. თიმის რიგითი წევრების სამარხებში თითო-ოროლა თიხის ჭურჭელი იპოვეს. მდიდარი და ღარიბი სამარხების კონსტრუქციაც საკრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ნასახლარები განლაგებულია ტერასებად. ამ ტერიტორიაზე აღნიშნულ ხანაში უწყვეტი და მჭიდრო დასახლება არსებობდა.

ყურადღებას იქცევს შარშან გათხრილი წარჩინებული მეომრის სამარხი, რომელიც ოდესღაც გაუძარცვავთ, მაგრამ მაინც საინტერესო ექსპონატებს შეიცავს და თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-14 და მე-13 საუკუნეებით. აღნიშნულ სამარხში ყურადღებას იქცევს ბრინჯაოს ლაგმები და ორთითა, რომელიც ამიერკავკასიაში აღმოჩენილ ამ ტიპის ნივთებს შორის ერთ-ერთი უძველესთაგანია. მოპოვებული მასალების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ: აღნიშნული დროიდან ფართოდ გამოიყენებოდა ცხენი, არსებობდა მხედრობა.

ნასახლარებზე და სამარხებში აღმოჩენილი ექსპონატების მიხედვით ირკვევა, რომ ეს ტერიტორია ადრე ირწყვებოდა. ნასახლარებზე, თითქმის ყველა საცხოვრებელი სახლის გვერდით გათხრილია ქვევრი. მიკვლეულია აგრეთვე უამრავი ღვინის სასმელი, ჭურჭელი, ე. ი. აქ საკმაოდ განვითარებული ყოფილა მევენახეობა. ასეთი ძლიერი დასახლება, ისიც მტკვრის ხეობაში განლაგებული, საბაბს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მაშინდელი მოსახლეობისათვის არსებობდა ყოველგვარი ხელშემწყობი პირობა მაღალგანვითარებული მესაქონლეობისა და მიწათმოქმედებისათვის.

სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს აბზინდა ცხენის და მხედრის გამოსახულებით. მხედრის თავსაბურავი ინკრუსტირებულია თეთრი მბზინავი ლითონით და წითელი მინისებური პასტით. ნივთი, რასაკვირველია, თემის გვარის წარჩინებულ პირს ეკუთვნოდა. ეს უნიკალური ნამუშევი ძვ. წელთაღრიცხვით მე-13 საუკუნისაა.

როგორც ცნობილია, რკინა-მეტალურგიის უწყვეტი განვითარება და უძველესი რკინის ნივთები მსოფლიოში ძველი წელთაღრიცხვით მე-14 საუკუნეს მიეკუთვნება. საქართველოს ტერიტორიაც ამ დროისათვის რკინის იარაღების მწარმოებელი ერთ-ერთი უძველესი კერა იყო.

როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გვიანი ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დიდმის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი როსტომ აბრამაშვილი აღნიშნავს, დიდმის დასახლება უნდა ყოფილიყო ის ეკონომიური ერთეული, რომელიც ამორობებდა მის მახლობლად დიდ დასახლებას, შემდეგ კი ჩვენი დედაქალაქის თბილისის წარმოშობას. ძველი თბილისის ტერიტორიაზე, როგორც ისანში, ისე ჯალაში მიკვლეულია მასალები, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის მე-2 ათასწლეულის ბოლო საუკუნეებს მიეკუთვნება, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ აღნიშნული პერიოდიდან დედაქალაქის შექმნამდე აქ დასახლება არსებობდა. ამდენად თბილისის უძველეს უბანს, როგორც დასახლებულ პუნქტს, სამი ათასზე მეტი წლის ისტორია აქვს.

ეს ექსპონატები კი, რომლებიც დიდმის გათხრების დროს აღმოაჩინეს, ჩვენი არქეოლოგების დიდი გამარჯვებაა. უნიკალური ნივთები ამჟამად არმაზის არქეოლოგიურ ბაზაში ინახება. რესტავრატორები მათ სიცოცხლეს უბრუნებენ.

არმაზში თუ მოგიხდათ ჩასვლა, უთუოდ ნახეთ მწვანეში ჩაფლული ორსართულიანი სახლი. განცვიფრებას ვერ დამალავთ, როცა თვალს შეავლებთ ათიათასობით აღდგენილ თუ აღუდგენელ ექსპონატს. ისინი შექმნილია რამდენიმე ათასწლეულის წინათ და დღესაც არ კარგავენ ღირსებას.

აქ რესტავრირებული ძვირფასი ექსპონატები ჩვენს წინაპართა გამჭრიახობასა და შრომის სიყვარულზე მეტყველებს.

როცა ამ ექსპონატებს ნახავთ, უდავოდ დაგებადებათ აზრი: იქნებ დროა ვიფიქროთ ისეთი საგამოფენო დარბაზის აშენებაზე, სადაც ეს ფასდაუდებელი ნივთები იქნება ექსპონირებული. ჩვენს მუზეუმებს ხომ საამისო ფართობი არ გააჩნიათ. სასურველია, როგორც სხვა დიდ ქალაქებში, ჩვენს დედაქალაქშიც დაარსდეს თბილისის არქეოლოგიური მუზეუმი. დროა ამ საქმესაც მიეხედოთ. თვითეული ექსპონატი ხომ ჩვენი წინაპრების უტყვი ისტორიაა, მათი შრომაა, სიცოცხლეა, მათი გონების ნაკარნახევი დიდებაა, ჩვენი და ჩვენი მომავალი თაობის კუთვნილებაა.

ექსპედიცია ამ დღეებში კვლავ გააგრძელებს მუშაობას. წარსულის კიდევ არაერთი ფურცელი გადაიშლება ჩვენს თვალწინ.

ა. მითაიშვილი.



ხურათზე: მეომრის ხაბრძოლო იარაღები და აბზინდა, ღვინის ჭურჭელი.

გ. პასტანბაძის ფოტო.

ფეხბურთი

ევროპის თასებზე

სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი — კიევის „დინამო“ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მატჩს ჩაატარებს თავის მოედანზე 15 სექტემბერს, ხოლო საპასუხოს — 29 სექტემბერს მეტოქის (იუგოსლავიის ჩემპიონატში გამარჯვებულთან) მოედანზე. ეს ცნობილი გახდა ციურიხში უეფა-ს შტაბ-ბინაში 6 ივლისს გამართული წილისყრის შედეგ. კიეველთა მეტოქე იქნება ან სალიტის „ჰაიდუკი“ ან ბელგრადის „პარტიზანი“.

თასების თასის ჯამთამშებაში ნაბჭოთა ფეხბურთის წარმომადგენელი (თასის მფლობელი, რომელიც 3 სექტემბერს გამოვლინდება) შეხვდება (პირველ მატჩში მეტოქის მოედანზე) უელსის „კარდიფ სიტისა“ და შვეიცარიის „სერვეტის“ გუნდებს შორის გამარჯვებულს.

უეფა-ს თასზე შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი — დონეცკის „შახტიორი“ პირველ მატჩში უმასპინძლებს ბერლინის „დინამოს“. ჩვენი ფეხბურთის მეორე წარმომადგენელი (ქვეყნის საგაზაფხულო ჩემპიონატში გამარჯვებული) ამავე ტურნირის პირველ მატჩში თელავში იასპარეზებს აეკი-ს კლუბთან.

ამ ორი ტურნირის პირველი ტურის მატჩებიც 15 და 29 სექტემბერს გაიმართება.

სსრ კავშირის თასზე

ვი აგვისტოს — დონეცკში

გუშინ მოსკოვში, სსრ კავშირის ფეხბურთის სამმართველოში გაიმართა საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩების წილისყრა.

შეხვედრები 30 აგვისტოს ჭაბარათება. თბილისის „დინამო“ ამ დღეს იასპარეზებს დონეცკში, ხოლო ერევანში „არარატი“ უმასპინძლებს დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“.

ფინალური მატჩი დანიშნულია 8 სექტემბრისათვის.

„სპარტაკი“ — „დნეპრი“

გუშინ მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე ლუჟნიკში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი დედაქალაქის „სპარტაკსა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ შორის. ანგარიშით 4:1 გაიმარჯვა „დნეპრმა“.

14 ოლიმპიელი

საქართველოდან 14 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას მონრეალის ოლიმპიადაში. აი ისინი: ლევან თედიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), შოთა ჩოჩიშვილი, ზურაბ ხარშილაძე და ოლეგ ზურაბიანი (ძიუ-დო), ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა), მიხეილ ქორქია (კალათბურთი), ვლადიმერ ისელიძე (წყალბურთი), იგორ კუშპელიოვი და იგორ ბელენკო (ცურვა), მარლენ პაპავა (სროლა), პაატა შამუგია (ტანვარჯიში), ალექსანდრე ანპილოგოვი (ხელბურთი), გივი ნიკურაძე (აკადემიური ნიჩბოსნობა) და დავით ყიფიანი (ფეხბურთი).

ჩვენი რესპუბლიკის თოთხმეტი წარმომადგენლიდან ათი ოლიმპიური ასპარეზობის დებიუტანტია. ვიქტორ სანეევისათვის ეს მესამე ოლიმპიადაა, ლევან თედიაშვილისათვის, შოთა ჩოჩიშვილისა და მიხეილ ქორქიასათვის — მეორე. ყველანი ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონები არიან.

(საქინფორმი).

თბილისიდან მონრეალში

7 ივლისს თბილისიდან მონრეალში გაემგზავრა სსრ კავშირის სატრაკო ველოსპორტის ნაკრები ოლიმპიური გუნდი, რომელიც თბილისის ველოდრომზე ემზადებოდა. მის შემადგენლობაში არიან ომსკელი ედუარდ რაპი (გამოდგენებით ინდივიდუალური რბოლა ოთხ კილომეტრზე), ხარკოველი სერგი კრავცოვი (სპრინტი), ლენინგრადელი ვლადიმერ ოსოკინი, კრასნოდარელი ალექსანდრე პეროვი, ტულელი ვიტალი პეტრაკოვი, მოსკოველი ვიქტორ სოკოლოვი და რიგელი აივარ ეისაქსი. ხუთი უკანასკნელი გამოვა გამოდგენებით გუნდურ რბოლაში ოთხ კილომეტრზე.

თბილისის აეროპორტში ოლიმპიელები გაიცილეს რესპუბლიკური სპორტკომიტეტის, საქართველოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. სპორტსმენებს მიართვეს ყვავილები, სამახსოვრო სუვენირები. (საქინფორმი).

შემოხვევა

გადაარჩინეს

ქასპი, 7 ივლისი. (საქინფორმის კორ.). ავტომანქანა „გაზ-69“, რომელშიც უფროსებთან ერთად სამი ბავშვიც იყო, ამოდ ცდილობდა დაეძლია წვიმების შემდეგ მოდიდებული მდინარე. სწორაფმა დინებამ მანქანა მდინარის შუაგულში გიატანა. დროდადრო ტალღები მანქანის სახურავს სწვდებოდა და „გაზ-69“ წყალში იმალებოდა.

მანქანა მაინც შენაშნეს. გასაჭირში ჩავარდნილი ხალხის საშველად მაშინვე გიშურნენ თემძინსხვეელები მიტო მალაციძე, ძმები აშრად და რამაზ ნორზალოვები. თუმცა ისინი კარგად ცურავდნენ, მაგრამ დიდი ჯაფა დაადგათ, სანამ მდინარეში დარჩენილ მანქანამდე მიაღწევდნენ. მათ დიდი გაჭირვებით მოგლიჯეს ტენტი მანქანას და სამი მცირეწლოვანი ბავშვი მშობლებითურთ ამოიყვანეს.

ნაპირზე დაზარალებულთ პირველი დახმარება გაუწიეს. ასე გადაარჩინეს ვაჟკაცებმა ადამიანთა სიცოცხლე.

ᲣᲐᲛᲘᲜᲓᲘ

დღეს დასავლეთ საქართველოს ხაანაპირო რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექია მოსალოდნელი, დაბლობ რაიონებში 20-25, მთებში 18-23 გრადუსი სითბო იქნება.

ადმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, მტკვრის ხეობაში დასავლეთის ქარი იქროლებს, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 24-29, მთებში 16-21 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია უმნიშვნელო წვიმა, იქროლებს ჩრდილოდასავლეთის ქარი, ტემპერატურა 23-29 გრადუსი.

ᲫᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აბხაზ. ა. დუჩიძე გაათავისუფლა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

8 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა კინოს ისტორია“ — ხმოვანი კინო, 11.45 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“. მესამე სერია (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — სსრ კავშირის ისტორია, 17.50 — განცხადებები, 17.55 — „დეპუტატი და ცხოვრება“, 18.15 — ბავშვებისათვის კონცერტი. ფერადი გამოსახულებით (გადმოერთით), 19.00 — „განვითარებული სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი“ — „მიწა, წყალი და მოსავალი“, 19.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოცნებების პალიტრა“. პრემიერა. ფერადი გამოსახულებით, 19.35 — „გავუფრთხილდეთ ერთგულ საუნჯეს“ — უფლისციხე, 20.00 — „ვახო გოძიაშვილი“ (განმეორებით), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — საესტრადო პანორამა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — სატელევ